



ოქმი:ო37.37210466

თარიღი:15/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვ. ჩხაიძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის**

ოქმი

2021 წელი, 11 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გ. ღურჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც ამჟამად განხორციელდება ონლაინ რეჟიმში, განაცხადა, რომ ვ. ჩხაიძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ვ. ჩხაიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ემუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოფელ თხინვალში ცენტრალური და შიგა გზების რეაბილიტაცია, რომელსაც წლებია მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ვ. ჩხაიძე არის საკრებულოს ახალგაზრდა, აქტიური

წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმელიძე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ. ღურჯუმელიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

